ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის
ოქმი N 16
19.12.2019

დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანგარიში.
2. ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
3. იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისათვის პროფესორების ერთჯერადი და ჯილდოვების საკითხი.
4. პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადების განხილვა

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ლალი სურმანიძე, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, მანანა მელიქიშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ირინე ჟვანია, ხათუნა მარწყვიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

ასოცირებული პროფესორი :

რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ანა კვირიკაშვილი, მარიამ ხოშტარია, მარიამ ბექაური, ირაკლი ხაბულიანი, დიანა ზვიადაძე, მარინა ბორჩაშვილი, ქეთევან ცანავა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრებოდა19 **წევრი**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს სხდომის დღის წესრიგი.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა დღის წესრიგის დამტკიცებას.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

განიხილეს:

1. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანგარიში.**

ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თ. გაგოშიძე საბჭოს წევრების წინაშე წარსდგა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშით. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 90% იხარჯება თანამშრომელთა ხელფასებზე, ამის გამო კი ფაკულტეტს არც თუ დიდი რესურსი რჩება განვითარებისთვის. შემდეგ ის შეეხო ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა პუნქტებს და აღნიშნა, რომ ამ ნაწილებში თანხები მიზნობრივად იქნა გახარჯული. მან ხაზგასმით გამოყო ბიუჯეტის შემდეგი პუნქტები:

აკადემიური პერსონალის მივლინებები:

პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ 2019 წ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინებებისთვის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 52 000 ლარი, თუმცა ამ პუნქტში მოხდა მცირე გადახარჯვა - რეალურად დაიხარჯა 57 000 ლარი. ეს თანხა მოხმარდა საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე ზეპირი მოხსენების წარსადგენად 16 პროფესორის, ხოლო ქვეყნის შიგნით - 2 პროფესორის მივლინებას.

სტუდენტების დაფინანსება:

ამ მიზნით ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 18 990 ლარი. დაიხარჯა ჯამში 13 300 ლარი. ეს თანხა მოხმარდა 8 დოქტორანტის დაფინანსებას, რომლებიც შერჩეულ იქნა საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შერჩევის კომისიის მიერ.

სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წახალისება:

ფულადი ჯილდო გადაეცა ფაკულტეტის პროფესორებს, რომლებმაც 2019 წელს გამოაქვეყნეს სამეცნიერო სტატიები საძიებო ბაზებში - scopus, web of science და erich + -ასახულ იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. დეკანმა აღნიშნა, რომ ასეთი იყოს 5 პუბლიკაცია და მათ ავტორებს (ავტორთა კოლექტივს) გადაეცა ფულადი ჯილდო. თითოეული სტატია დაჯილდოვდა 2500 ლარით, რამაც ჯამში შეადგინა 12 500 ლ.

წარმომადგენლობითი ხარჯები:

როგორც მოგეხსენებათ, ეს პუნქტი გულისხმობს კონფერენციების, ყრილობების, სესიების, სემინარების თუ სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებს, სტუდენტების დახვედრა/გაცილებას, სტუმრების მიღებას - მომსახურების (სატრანსპორტო, სასტუმროში განთავსება) უზრუნველყოფას, წვეულებების და სხვა (დარბაზი, ფურშეტი და.შ.) ხარჯებს. 2019 წლის ბიუჯეტში ამ მიზნით გამოყოფილი იყო 20 000 ლარი, დაიხარჯა 12 000 ლარი. ამ თანხის ფარგლებში:

- ორგანიზებული და ჩატარებული იქნა სამი (ფსიქოლოგის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, ბ-ნი რ. ქვარცხავას საიუბილეო, მასწავლებელთა განათლების) სამეცნიერო კონფერენცია;
- ვუმასპინძლეთ ორ უცხოელ პროფესორს (სასტუმრო, მგზავრობა და სხვა ხარჯი);
- დაჯილდოვებულ იქნა წარჩინებული კურსდამთავრებულები;

- პირველკურსელებს გადაეცათ საჩუქრები.

ფაკულტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება:
ამ მიზნით დაიხარჯა 4000 ლარი.

შეკითხვები 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით არ ყოფილა.

2. ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს თამჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, რომელიც წინასწარ დაეგზავნათ მათ. მან აღნიშნა, რომ გარკვეული საბიუჯეტო პუნქტები გაიზარდა. ახალ ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები მასალების განახლებისათვის და სხვა. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ჩადებულია თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს აკადემიური პერსონალის ხელფასის მომატებას. საბჭოს თამჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ფაკულტეტებს მისცა შესაძლებლობა, თავად შეარჩიოს პრინციპი აღნიშნული თანხის გასანაწილებლად. გარდა ამისა, მისივე აღნიშვნით, 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რიდერების მომზადების ხარჯები და ეს ძალიან წაადგება კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსების განახლებას. ასევე, გაგრძელდება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კომპიუტერულ პროგრამაზე მუშაობა. ბიუჯეტის დანარჩენი პუნქტები სტანდარტულია. ფაკულტეტის დეკანმა აქვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ფაკულტეტზე „სტუდენტების დახმარების ფონდის" არსებობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მკაცრი იურიდიული რეგულაციები ამის საშუალებას არ იძლევა.

აზრი გამოთქვეს:
ასოც. პროფ. ვახტანგ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია თანხის განაწილების რაიმე ფორმის გამონახვა; ამას მოფიქრება, უნივერსიტეტის იურისტებთან კონსულტაციები და მსჯელობა/განხილვა სჭირდება. პროფ. თ. გაგოშიძის აზრით, განაწილების პრინციპზე საბჭომ უნდა იმსჯელოს. საბჭო შეთანხმდა, რომ ამ საკითხზე კიდევ იმსჯელოს. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხს მომავალ სხდომაზე კვლავ დაუბრუნდებიან და განიხილავენ.

საბჭოს თამჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

კენჭი უყარეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიღებულ იქნას ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

3. იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისათვის პროფესორების ერთჯერადი და ჯილდოვების საკითხი.

ფაკულტეტის დეკანმა თამარ გაგოშიძემ აღნიშნა, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N 4, 28.05.20190) რეცენზირებად ჟურნალში (Psychological Reports) სტატიის - Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Yong Georgians - გამოქვეყნებისათვის უნდა დაჯილდოვდეს სტატიის ავტორები, მაგრამ ეს პროცესი შეაფერხა იმან, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭოს მიერ მიღებულ იქნა მაისში, ხოლო სტატია გამოქვეყნდა 2019 წლის თებერვალში. რამდენადაც პუბლიკაცია გამოქვეყნდა 2019 წ.-ს, ხოლო ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტში არის ამ მიზნით გამოყოფილი თანხა, დეკანის აზრით, სტატიის ავტორების დატოვება ამ წამახალისებელი ჯილდოს გარეშე სამართლიანი არ იქნებოდა. მან განმარტა, რომ სტატიის ავტორების დასაჯილდოვებლად საჭიროა საბჭოს ნება და გადაწყვეტილების მიღება ერთჯერადად დაჯილდოების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორთა დაჯილდოებასთან დაკავშირებით თსუ-ის რეგულაცია, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „საძიებო ბაზებში - scopus, web of science და erich + ასახულ იმპაქტფაქტორიან ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორს ან ავტორთა კოლექტივს გადაეცეს ფულადი ჯილდო 2500 (დარიცხული) ლარის ოდენობით. თანხა თანაბრად გადანაწილდეს ფაკულტეტის პროფესორ ავტორთა კოლექტივზე".

ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს საუნივერსიტეტო რეგულაციას. მან საბჭოს შესთავაზა ფაკულტეტის ზემოხსენებულ პროფესორთა დაჯილდოების საკითხის კენჭისყრაზე დაყენება შემდეგი ფორმულირებით: ავტორთა კოლექტივს (მ. ფანჯიკიძე, ხ. მარწყვიშვილი, მ. ჩიტაშვილი) პუბლიკაციისთვის „Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Yong Georgians", რომელიც გამოქვეყნდა საძიებო ბაზაში - scopus - ასახულ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში „Psychological Reports" ა.წ. თებერვალში, გადაეცეს ფულადი ჯილდო 2500 (დარიცხული) ლარის ოდენობით. აღნიშნული ჯილდო თანაბრად გაიყოს სტატიის ავტორებზე, რომლებიც ფაკულტეტის პროფესორები არიან.

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა ირინე ჟვანიამ კენჭისყრაზე დააყენა შემოთავაზებული წინადადება.

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ერთჯერადად, ავტორთა კოლექტივს (ფანჯიკიძე, მარწყვიშვილი, ჩიტაშვილი) გადაეცეს ჯილდო 2500 (დარიცხული) ლარის ოდენობით პუბლიკაციისთვის „Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Yong Georgians“, რომელიც გამოქვეყნდა საძიებო ბაზაში - scopus - ასახულ იმპაქტფაქტორიან ჟურნალში „Psychological Reports“ ა.წ. თებერვალში. აღნიშნული ჯილდო თანაბრად გაიყოს სტატიის ავტორებზე, რომლებიც ფაკულტეტის პროფესორები არიან.

4. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს გააცნო პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დოქტორანტ ელისაბედ ბუსხრიკიძემ მიღებული აქვს მხოლოდ 2 რეცენზენტის დასკვნა. განცხადების ავტორი გამონაკლისის სახით ითხოვს, რომ ფაკულტეტის საბჭომ განიხილოს დოქტორანტ ელისაბედ ბუსხრიკიძის საკითხი და მისცეს მას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა. ფაკულტეტის საბჭომ ამ საკითხის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩათვალა და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია